

შპს“ოაზის-ვერიტას“
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

შპს ოაზის ვერიტას ს/კ 436256917

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

01,01,2024

31,12,2024

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები

1,289,693.39

1,847,108.68

-

-

1,289,693.39

1,847,108.68

მოკლევადიანი აქტივები

ფული და ფულთან გათანაბრებული

ინსტრუმენტები

141,381.43

49,691.26

მოთხოვნები მიწოდებიდან და

მომსახურებიდან

-

189,500.00

მოთხოვნები საწარმოს პერსონალზე

400.00

მომწოდებელზე გადახდილი ავანსები

463,686.79

507.22

სასაქონლო მარაგები/ნედლეული/მასალები

298,682.15

347,694.76

ბიოლოგიური აქტივი

242,550.00

364,500.00

წინასწარ გაწეული ხარჯი

67,493.03

1,146,700.37

1,019,386.27

მთლიანი აქტივები

2,436,393.76

2,866,494.95

მთლიანი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

384,634.05

384,634.05

საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი

- 538,980.25

- 905,785.73

- 154,346.20

- 521,151.68

ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხები

2,410,660.94

3,205,682.37

-

-

2,410,660.94

3,205,682.37

მოკლევადიანი ვალდებულებები

ვალდებულებები მოწოდებიდან და

მომსახურებიდან

190,519.70

172,876.14

მიღებული ავანსები

1,500.00

-

საგადასახადო ვალდებულებები

- 11,940.68

9,088.12

მიღებული ავანსები

180,079.02

181,964.26

მთლიანი ვალდებულებები

2,590,739.96

3,387,646.63

მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები

2,436,393.76

2,866,494.95

დირექტორი:

ბ. ნანავა

შპს "ოაზის ვერიტას" ს/კ 436256917

ფინანსური ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს ოაზის ვერიტას ს/კ 436256917

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების
ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 31 დეკემბერი	384,634.05	-	(538,980.26)	(154,346.21)
მოგება/ზარალი	-	-	(366,805.48)	(366,805.48)
ფინანსური შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი		-	(366,805.48)	(366,805.48)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა				-
2024 წლის 31 დეკემბერი	384,634.05	-	(905,785.74)	(521,151.69)

დირექტორი:

შპს "ოაზის ვერიტას" ს/კ 436256917

ბ. ნანავა

ფინანსური ანგარიშგება

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები							
ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ოჯართ აღებული ქონების კეთილმოწყობა
31 დეკემბერი 2023	203791.39	449761.14	219133.13	14306.77	15717.97	448132.17	20661.87
შემოსვლა	375617.72	592159.11	215335.81		91041.43	16517.00	0.00
გადაფასება							
გასვლა	-579409.11	-12750.00				-49101.60	
31 დეკემბერი 2024	0.00	1029170.25	434468.94	14306.77	106759.40	415547.57	20661.87
ცვეთა და გაუფასურება		-12041.39	-1398.88	-759.11	-2582.16	-65029.51	
31 დეკემბერი 2023	0.00	-12041.39	-1398.88	-759.11	-2582.16	-65029.51	0.00
პერიოდის ცვეთა	0.00	-28372.30	-1625.05	-1421.15	-6667.80	-50809.49	-3099.28
გასვლა							
31 დეკემბერი 2024	0.00	-40413.69	-3023.93	-2180.26	-9249.96	-115839.00	-3099.28
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2023	203791.39	437719.75	217734.25	13547.66	13135.81	383102.66	20661.87
31 დეკემბერი 2024	0.00	988756.56	431445.01	12126.51	97509.44	299708.57	17562.59

დირექტორი:

ბ. ნანავა



შპს "ოპის ვერიტას" ს/კ 436256917

ფინანსური ანგარიშგება

მოგება - ზარალის ანგარიშგება

მოგება - ზარალის ანგარიშგება

შემოსავალი ძირ საქმიანობიდან	300495.78
რეალიზებული პროდუქციის თ/დ	-118,904.90
მიწოდების ხარჯები	-3,179.89
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	-136,993.28
ამორტიზაცია	-99,550.96
პერსონალის ხარჯი	-317,994.23
იჯარის ხარჯები	-16,750.00
ტრანსპორტირების ხარჯები	-2,609.37
საგადასახადო ხარჯი	-15,987.94
კომუნალურის და კომუნიკაციის ხარჯები	-6,850.94
მანქანების, სპეცტექნიკების რემონტის ხარჯები	-16,796.04
დაზღვევა და უსაფრთხოების ხარჯები	-12,905.00
ფერმასთან დაკავშირებული ხარჯები	-38,808.56
საოფისე და საკანცელარიო ხარჯები	-2,898.44
სხვა ხარჯები	-17096.44
საოპერაციო მოგება	-506,830.21
არასაოპერაციო შემოსავლები	194,908.85
არასაოპერაციო ხარჯები	-54,823.42
ფინანსური შემოსავალი	
ფინანსური ხარჯი (პროცენტი)	
დარიცხული საურავები	-60.70
მოგება დაბეგვრამდე	(366,805.48)
მოგების გადასახადი	
წმინდა მოგება	-366,805.48
სხვა სრული შემოსავალი:	
გაცემული დივიდენდი	
მთლიანი სრული შემოსავალი	-366,805.48

დირექტორი:

შპს "ოზის ვერიტას" ს/კ 436256917

ბ. ნანავა

ფინანსური ანგარიშგება

ფულადი ნაკადის მოძრაობის უწყისი

ფულადი ნაკადის მოძრაობის უწყისი

ფული პერიოდის დასაწყისში	141,381.43
სადებუტო ბრუნვები	1,391,209.13
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	247,144.91
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები	118,701.00
მომწოდებლებიდან თანამშრომლებიდან დაბრუნებული ფული	55,903.05
შემოსულობა ხაზინის ერთიან ანგარიშზე	72,540.86
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	801,762.80
მიღებული სესხები	801,762.80
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	342,301.42
საკურსო სხვაობა	342,301.42
საკრედიტო ბრუნვები	-1,482,899.28
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	-1,132,989.06
მიმწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1,001,749.16
გადახდილი გადასახადები	-128,551.30
გაუთვალისწინებელი ხარჯები	-2,688.60
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	-349,910.22
საკურსო სხვაობა	-349,910.22
ფული პერიოდის ბოლოს	49,691.28

დირექტორი:

შპს "ოზის ვერიტას" ს/კ 436256917

ბ. ნანავა

ფინანსური ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ოაზის ვერიტას“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია 2022 წლის 24 აგვისტოს და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობისა და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, ზუგდიდი, სოფელი ცაიში

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მინერალური სასუქის ბიოჰუმუსის წარმოება. დამატებით საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის, შემდგომში მსს-ფას სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად გამოყენებულია ქართულ ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშებზე

ამონაგების (შემოსავლის) აღიარება

კომპანია შემოსავლებს აღიარებს დარიცხვის მეთოდით ყოველდღიურად გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ მომავალში წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას და ვალდებულების ზრდასთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების და ზარალის ანგარიშგებაში თუ მისგან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარებულ კრიტერიუმებს.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება. კომპანიას აქვს დამფუძნებლისგან აღებული უპროცენტო სესხი და ხელშკრულებიდან გამომდინარე, არა აქვს პროცენტის დარიცხვისა და გადახდის ვალდებულება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებები კლასიფიცირებულია გამოყენების ფორმის შესაბამისად. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

ტექ. და ავტოსატრანსპორტო საშუალებები 5

მანქანა დანადგარები 10

ოფისის აღჭურვილობა 5-10

ნაგებობები 20

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მის გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომში გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ჩაირთვება სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

ნედლეული და მარაგები

კომპანიაში ნედლეულის და მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში

მოყვანისათვის. ნედლეულის და მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ბიოლოგიური აქტივები

ბიოლოგიური აქტივების თავდაპირველი (შეძენის მომენტში) აღრიცხვა წარმოებს თვითღირებულებით. ნამატი ბიოლოგიური აქტივი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში რომელიც ზრდის საწარმოს მფლობელობაში მყოფი ბიოლოგიური აქტივის რაოდენობას და ღირებულებას. ბიოლოგიური აქტივების კვებაზე გაწეული ხარჯები აისახება გაწევისთანავე მოგება-ზარალში.

ბიოლოგიური აქტივების გაუფასურება

საანგარიშო პერიოდის ბოლოს, თუ ადგილი აქვს ბიოლოგიური აქტივების გაუფასურებას, ხდება მისი საბალანსო ღირებულების შემცირება რეალურ ღირებულებამდე. ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

მოგების გადასახადადით დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, როგორიცაა ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი.

რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ), კომპანიის ძირითადი საქმიანობა გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით ხოლო სხვა დასაბეგრი ოპერაცია იბეგრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 19 სექტემბერს.